ზეინაბ სარია

ზვიად გამსახურდია - ამერიკული პოეზიის მთარგმნელი

ანოტაცია: *ნაშრომი დაწერილია ზვიად გამსახურდიაზე, როგორც ამერიკული პოეზიის მთარგმნელზე. მცირე მოცულობის კომპილაციური მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ამერიკული ლექსის თარგმნა და კვლევა მეოცე საუკუნიდან მიმდინარეობს ჩვენში. ნაშრომის ძირითადი საკითხია ზვიად გამსახურდიას თარგმანების თავისებურებათა განსაზღვრა. ვიყენებ შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობის მეთოდს და სხვადასხვა ავტორის ტექსტების სინქრონული წაკითხვით ვადგენ მათ ურთიერთგანსხვავებას.*

ნაშრომში კეთდება დასკვნა, რომ ზვიად გამსახურდია - მთარგმნელი ითვალისწინებს ზვიად გამსახურდია - მკვლევრის მიერ დადგენილ ინდივიდუალურ ნიშნებს და მათზე დაყრდნობით ქმნის თარგმანს. მისი ყოველი თარგმანი - ეს არის ორიგინალის ინტერპრეტაცია, რომელიც ავტორისა და მთარგმნელის ინტელექტუალურ თუ ემოციურ სივრცეში გამყოფებს.

ამოსავალი სიტყვები: *ამერიკელი პოეტები, ვერლიბრი ამერიკულ პოეზიაში.*

Zeinab Saria

Zviad Gamsakhurdia - Translator of American Poetry

Annotation: *The work is written about Zviad Gamsakhurdia, as a translator of American poetry. A small volume of a compilative review shows that the translation and research of American poetry took place in the twentieth century in Georgia. The main issue of the work is to define the features of the translations of Zviad Gamsakhurdia. Using the methodology of comparative study of literature and synchronous reading of various authors' texts, I find their differentiating features. The work concludes that Zviad Gamsakhurdia - the translator considers individual signs of Zviad Gamsakhurdia - the researcher and creates the translation based on them.*

Key words*: American poets, Vers libre in American poetry, translations of Zviad Gamsakhurdia.*

თარგმანის სფეროში კარგად გათვითცნობიერებული ადამიანები aqa-iq ამბობენ, რომ დიდი შეუსაბამობაა პოეზიის თარგმნა. ეგ ისეთი ემოციის, განცდისა და ფორიაქის ნაზავია, რომ არ ითარგმნება სხვა ენაზე, იმავე ენაზე უნდა ეზიარო, რომელზეც შეიქმნა და აგიჩქარდეს გულისცემა. სხვა ენაზე ლექსს ეკარგება ფერი, სურნელი, აკლდება გულის ფეთება. ამბობენ, სხვა ენაზე ვერ გადაიტანო გულისცემას, დიდი მონდომებით ნაქსოვი

ხალიჩის მეორე პირს გვახსენებსო თარგმანი, ბევრს ჰკარგავს და საკუთარ თავს არა ჰგავსო არანაირად.

მიუხედავად ამისა, იწერება თარგმანები. ამზადებენ ორიგინალის პწკარედებს და პოეზიას თარგმნიან სხვადასხვა ენაზე. განსაკუთრებით დღეს გახდა აქტუალური ლიტერატურული ტექსტის თარგმნა. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობამ (2018 წელი, ოქტომბერი) კარი გახსნა ევროპელი მკითხველებისკენ. ქართველი ავტორები მიემგზავრებიან სხვადასხვა ქვეყანაში ჯგუფ-ჯგუფად და ჩნდება ახალი ანთოლოგიები, თარგმანები, პოეტები იმკიან აღიარებებს...

როდესაც ზვიად გამსახურდია დაინტერესდა ამერიკული პოეზიის თარგმანით, შიგ შუაგულ საბჭოთა სინამდვილეში ვცხოვრობდით და ევროპული თუ ამერიკული ხელოვნებისაგან რკინის ფარდები გვყოფძა ოთხივე მხრიდან. 70-იან წლებში ჩვენთან როგორღაც შემოვიდა ამერიკული თუ ბრიტანული როკმუსიკა; ელექტროგიტარა, ბასგიტარა თუ დასარტყმელი ინსტრუმენტები გამაყრუებლად ხმაურობდნენ Cvens oTaxebSic. ჩვენი ახალგაზრდები გატაცებით უსმენდნენ "როლინ სთოუნზის," ("The Rolling Stones") "ბითლებისა" ("The Beatles") თუ "ლედ ზეპელინის" მუსიკას. ესეც ამერიკულ თუ ბრიტანულ სინამდვილესთან ზიარება იყო, მაგრამ ანტისაბჭოურ ქმედებად ითვლებოდა. თუ ვინმე ჩუმად უსმენდა რადიოგადაცემა "ამერიკის ხმას", შიშნეულად იხედებოდა ირგვლივ, რაიმე საეჭვო ხომ არ შეინიშნებოდა, რაც გასცემდა მის საქციელს და აზღვევინებდა სასტიკად?!.

ასეთ ვითარებაში მართლაც რომ გაბედულება იყო ამერიკული პოეზიით დაინტერესება, მისი კვლევა და თარგმნა.

სიმართლე რომ ვთქვათ, დიდი ხნის გამოცდილება არცა გვაქვს ამერიკული პოეზიის თარგმნისა და კვლევისა. ამ სფეროთი ჩვენი დაინტერესება მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იკვეთება და ერთ-ერთი პირველი ნიმუში, რომელიც წაიკითხა ქართველმა მკითხველმა - ეს არის ე.ა. პოს (1809-1849) "ყორანი". 1845 წელს გამოაქვეყნა ავტორმა ეს ნაწარმოები გაზეთ "ნიუ იორკ ივნინგ მირორში". 61 წლის შემდეგ, 1906 წელს ვაჟა-ფშაველამ თარგმნა ეს ტექსტი (შემდეგ ბევრმა სცადა "ყორანის" გადმოთარგმნა და გამომცემლობა "ინტელექტმა" 2011 წელს ამ შედევრის 21 თარგმანი შესთავაზა მკითხველებს).

მეოცე საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს და 20-იანი წლების დასაწყისში უკვე უ. უიტმენი ითარგმნება. ჟურნალი "ხომალდი" და გაზეთი "ორიონი" ბეჭდავს ხარიტონ ვარდოშვილის თარგმანებს: "ლექსები ყველასადმი," "სალუტი მთვარეზე," "დიდება ქვეყნად"... ლ. ღოღობერიძე ამუშავებს ნაშრომს "უოლტ უიტმენი" (ნ. დარბაისელი, "ზვიად

გამსახურდია - ამერიკული ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი," http://www.bu.org.ge/x450?lang=geo).

1921 წელს ვ. კოტეტიშვილის ანალიზი გამოქვეყნდა უიტმენის შემოქმედებაზე, ხოლო 1926 წელს კ. გამსახურდიამ თარგმნა რამდენიმე ნაწარმოები და იკვლია კიდეც ეს პოეტი.

ქართულ ცნობიერებაში საკუთარი ადგილი რომ ჰქონოდა ამერიკულ ლიტერატურას, ამისათვის იღვწოდა ზვიად გამსახურდიაც. არ იყო შემთხვევითი, რომ მე-19 საუკუნის ამერიკული პოეზიიდან მან თარგმნა უ. უიტმენი და ე. დიკინსონი. მთარგმნელმა ქართველთა წინაშე წარმოადგინა პოეტები, რომელთა პოეზიაც გეზის მიმცემი იყო მეოცე საუკუნის ამერიკელი პოეტებისათვის. ისინი მათ თანამედროვეთა უმრავლესობას პოეზიის ქვედა ზღვარს ქვევით მყოფნი ეგონა, რადგანაც მათი ტექსტები არ იქმნებოდა ძველებური, ტრადიციული ესთეტიკით. ზ. გამსახურდიამ მოიხელთა ამ პოეტების ახალი ესთეტიკის ნიუანსები და დიდი პოეტები შეიცნო მათ არსებაში.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ როდესაც ზვიად გამსახურდია მუშაობდა ამერიკული პოეზიის თარგმანებზე, ქართულ რეალობაში კლასიკური პოეზიის შაბლონი ბატონობდა. პოეტური ესთეტიკა ცნობდა და აღიარებდა ამაღლებულ რომანტიკულ ტონალობას და ბოლორითმიან ლექსს. გალაკტიონისა და ცისფერყანწელების მიერ დამკვიდრებული ვერლიბრი, როგორც ნ. დარბაისელი ამბობს ზემოთ მითითებულ წერილში, ცოტა ვინმეს თუ ახსოვდა. თავისუფალი ლექსის ბუნება და ნიშნები ჯერაც საკვლევი იყო, ხოლო ამ სალექსო ფორმისთვის გზის გაკაფვა, თითქოს, ისევ ხელახლა ხდებოდა აუცილებელი (მიუხედავად იმისა, რომ სანდრო ცირეკიძის, შალვა აფხაიძისა და გრიგოლ ცეცხლაძის წერილები 20-იან წლებში უკვე არსებობდა). ზვიად გამსახურდიას თარგმანები მკითხველს თავიდან აფიქრებდა იმაზე, რომ ვერლიბრში ტაეპებს ინტონაცია აერთიანებს, ხოლო კონვენციურ ლექსში - მეტრულ-რიტმული კანონი კრავს სტროფებში მოქცეულ პწკარებს.

ზვიად გამსახურდიამ თარგმნა ედვინ არლინგტონ რობინსონი, რობერტ ფროსტი, მასტერსი, ეზრა პაუნდი, ემი ლოუელი, ჰილდა დულიტლი, ტომას სტერნზ ელიოტი, რობინსონ ჯეფერსი, კარლ სენდბერგი...

რომ გავიგოთ, რა სტილის მთარგმნელია ზვიად გამსახურდია, დავაკვირდეთ მის ერთ-ერთ თარგმანს, მაგალითად, რობერტ ფროსტის მცირე მოცულობის ლექსს "ცეცხლი და ყინული:"

Robert Frost (1874 - 1963)

Fire and Ice / Some say the world will end in fire, / Some say in ice. / From what I've tasted of desire / I hold with those who favor fire. / /But if it had to perish twice, I think I know enough of hate / To know that for destruction ice / Is also great / And would suffice.

პწკარედი ასეთია: ვინ იმას ამბობს, რომ მსოფლიოს იმსხვერპლებს ცეცხლი,/ ვინ კიდევ - ყინული./ როცა სურვილებს ვიხსენებ,/ მჯერა ცეცხლოვანი სასრული./ მაგრამ თუ ორგზისი იქნება დაღუპვა,/ ვფიქრობ, ვიცი სიძულვილიც,/ მისი გამყინვარების ძალა / ასევე დიდია და ამის შემძლებელი.

ზვიად გამსახურდიამ ლექსი თარგმნა ასე:

ერთნი სამყაროს დასასრულად ცეცხლს გვიქადიან, /მეორენი - გამყინვარებას. /როცა ვიხსენებ, თუ რა მწადდა და რა მწადიან, / ვემხრობი მათ, ვინც აღსასრულად ცეცხლს გვიქადიან, /მაგრამ თუ ორგზის შეგვეხსნება ნგრევის კარები, /მე სიძულვილსაც კარგად ვიცნობ, ახლა რომელიც /მაფიქრებინებს, რომ ნგრევისთვის გამყინვარება ? / ძალა არის არანაკლებ განუზომელი.

როგორც ვხედავთ, ქართული ტექსტი იკითხება ძალზე ბუნებრივად, შენარჩუნებულია ენის თავისებურებანი, არსად იგრძნობა ხელოვნურობის ნასახიც. თარგმანი აზრობრივად მიჰყვება ორიგინალს და სათქმელი ოსტატურად გადმოდის ჩვენს ენაზე. იგრძნობა სინტაგმების არისტოკრატული შეფერილობა. აკუსტიკურად კარგად შეიმჩნევა რითმები, ფრაზა უფრო თავისუფლად გაიმართა თოთხმეტმარცვლოვან ბესიკურში, ვიდრე, ვთქვათ, ათმარცვლიან საზომში შეძლებდა ამას. ვფიქრობთ, ეს ის თვისებაა, საერთოდ რომ ახასიათებს ზვიად გამსახურდიას თარგმანებს (თარგმანის ტაეპში მეტი მარცვალია, ვიდრე ორიგინალში).

ახლა დასაკვირვებლად შევარჩიოთ რობერტ ფროსტის "ნოემბრის სტუმარი" და ვნახოთ მისი ორი თარგმანი.

My Sorrow, when she's here with me, / Thinks these dark days of autumn rain /Are beautiful as days can be; / She loves the bare, the withered tree; /She walked the sodden pasture lane. / Her pleasure will not let me stay. /She talks and I am fain to list: /She's glad the birds are gone away, /She's glad her simple worsted gray /Is silver now with clinging mist. / The desolate, deserted trees, /The faded earth, the heavy sky, /The beauties she so truly sees, /She thinks I have no eye for these, /And vexes me for reason why. / Not yesterday I learned to know /The love of bare November days /Before the coming of the snow, /But it were vain to tell her so, /And they are better for her praise.

“ჩემი მწუხარება როდესაც მეწვევა და ჩემში სახლდება,
ფიქრობს შემოდგომის უბრალო დღეებზე, მომქანცველ წვიმაზე,
როს სიმშვენიერე ბუნების კვდომისა ისევ განახლდება,
მას უყვარს ალვების კვდომა ვერცხლისფერი და ცად ამაღლება,
ჩვენ მიერ მრავალგზის თელილი მინდვრების ნესტი და სინაზე.

მისი სიამტკბილე აროდეს მშორდება და მეც უდრტვინველი,
მისი მოსალბუნე საუბრის სმენისას არასდროს ვიღლები,
და მას უხარია, როდესაც ფერები, რუხნი, საკვირველნი,
და მას უხარია, როდესაც ჯგუფ-ჯგუფად გვტოვებენ ფრინველნი,
ვერცხლად იქცევიან ირგვლივ შემომდგარი ფაფუკი ნისლებით.

მაშინ გაძარცვულიი ხეების მოწყენა, ის ჩემი ნაღველი,
მიწა გადამჭკნარი და შავი ღრუბლებით ცა დამძიმებული,
ყველა ეს მშვენება, მისგან ჭეშმარიტი სისავსით ნახული,
ისევ აღუქმელი ჰგონია ჩემს სულში და ღრმად დამარხული
იდუმალებისათვის მომიხმობს კვლავ და კვლავ, სიამით ვნებული.

რამდენი ხანია, რაც მე შევიყვარე და რაც მე შევითვისე
ნოემბრის დღეები, ჩუმი გაძარცვული ნოემბრის დღეები,
პირველ მოთოვამდე რომ იბინდებიან მდუმარე ტყეები…
მაგრამ ამაოა ყველა დარწმუნება ჩემთვისაც და მისთვისაც,
რადგან მისის თვალით სხვაა ეს ქვეყანა და ეს სივრცეები.”

(თარგმანი ზვიად გამსახურდიასი)

მეორე თარგმანი ეკუთვნის ნანა გოგოლაშვილს:

ნაღველს, როდესაც მეწვევა ხოლმე,
ჰგონია, წვიმით მოქუფრულ დღეებს
შემოდგომაზე დღე არ სჯობს ხიბლით,
ეტრფის ტანშიშველ, განძარცვულ ხეებს
და ღობე-ყორეს მიუყვება სველი ბილიკი.

არ სიამოვნებს დუმილი ჩემი,
მესაუბრება, მაიძულებს ვუსმინო მის ფიქრს,
ხარობს ჩიტების გადაფრენას, უბრალო სამოსს,
ტანს შემოტმასნილ ნაცრისფერ ხაოს
როგორ დაჰყრია ვერცხლივით ნისლი.

ასე ჰგონია, თვალი არ მიჭრის,
ვერ ვამჩნევ ირგვლივ ნაღდსა და ლამაზს,
ვერც უნუგეშო, უბედურ ხეებს,
ვერც დამზრალ მიწას, ვერც პირქუშ ცარგვალს.
ან მე რას მერჩის, მახელებს რათა?!.

რა, გუშინდელი ბიჭი კი არ ვარ,
არ განმეცადოს თოვლის მოსვლამდე
დედიშობილა ნოემბრის ტრფობა.
დავშვრი ამაოდ, ვერ შევისმინე,
დღეები უკეთ ამბობენ ხოტბას.

(გოგოლაშვილი 2002: 48-49).

თარგმნასთან ერთად, ზ. გამსახურდია იკვლევს კიდევაც თავის რჩეულ ავტორებს. როდესაც უკვირდებოდა რ. ფროსტის პოეზიის თავისებურებებს, თვითონვე დააფიქსირა შემდეგი ნიშნები: ლექსების მოჩვენებითი სიმშრალე, მანერულობას განრიდებული გამოხატვა, გულწრფელობა, მგზნებარე ტემპერამენტის გაზავება გონებისმიერ ყინულთან, ოპტიმიზმი, ურბანისტული თემების იგნორირება, მკრთალი ფერების გამოყენება. იკვეთება, რომ ფროსტი ტრადიციულია, ხალხურობაშია მისი ფესვები, მაგრამ მისი პოეზია ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა. თემატიკა, პოეტური სახეები თუ ვერსიფიკაცია ექსტრავაგანტული ნოვაციებით არ გამოირჩევა. პოეტმა შეინარჩუნა ბოლორითმოვანი ლექსი (გამსახურდია 1991: 281-282). მის ლირიკაში გამოარჩევენ "ნოემბრის სტუმარს." აქ ხედავენ ხელოვანის თვალით ხილულ პანორამას. პოეტური ქსოვილი გამჭვირვალეა, ინტონაციები - მშვიდი და სასაუბრო. თანბრად უზავდება ერთიმეორეს აზრი და ემოცია.

ზ. გამსახურდიასეულ თვრამეტმარცვლიან ტაეპებს ნ. გოგოლაშვილისეულ თარგმანში ათმარცვლიანი პწკარები ცვლის და, იქნებ, ეს უფრო ადეკვატურად ჩაგვეთვალა ორიგინალის გადმოსაცემად, მაგრამ ფროსტის ტრადიციულობასა და შოპენჰაუერთან მიახლოებას ("სამყარო არის ჩემი წარმოდგენა") სწორედ ამგვარი ვრცლად გადაჭიმული ტაეპები უხდება. ორიგინალის ავტორი ინტიმური სიახლოვით გადაეხსნება ბუნებას, შინაგანი ენერგეტიკით ეხმიანება გარესამყაროს ძალებს. ამიტომაც არის, პოეტიზმებიც უხდება ამ შერწყმას ბუნებასთან. ფროსტის თავისებურებას (დარბაისლური ტრადიციულობა) გრძელი საზომის შერჩევით ვიზუალურადაც გვიჩვენებს ზ. გამსახურდია. შთამბეჭდავია ორივე ინტერპრეტაცია.

მთარგმნელი ცვლის ტაქტიკას, როდესაც თარგმნის კარლ სენდბერგს. რომანტიზმის კლიშეებს უპირისპირდება კ. სენდბერგი და ზვიად გამსახურდია უცდომელი ინტუიციით აგნებს ყოველივე ამის სიმბოლურად გამომხატველ ლექსს "არჩევანი." ეს უკვე სხვა წყობის პოეტია. მისი თქმები შეიძლება იყოს გაურანდავი და ალაგ-ალაგ ვულგარულიც. სენდბერგი ახლებურად ამბობს, არარაფინირებულად, სინატიფეს მოკლებული ხერხებით, პოეტურ ქსოვილში კარს უხსნის ჟურნალიზმს, ბევრგან უახლოვდება პროზაულ თხრობას. ამგვარი განსხვავებული პოეტური ესთეტიკის დამამკვიდრებელია კ. სენდბერგი:

"ისინი ბევრს შემოგთავაზებენ,
მე - სულ ცოტაოდენს.
მთვარის ლიცლიცი შუაღამის შადრევნის ფონზე
და წყლის რაკრაკი თვლემის მომგვრელი,
გაშიშვლებული მხრები, ღიმილი,

ხან სიყვარული, ხან ღალატი,

სიკვდილის შიში, სინანულის კვლავ დაბრუნება-

ყოველივე ამას გთავაზობენ თქვენ -

მე კი მოვდივარ,

მომაქვს პური, მარილმოყრილი,

მძიმე ჯაფის უღელი,

დაუცხრომელი ბრძოლა

და გეუბნებით:

აჰა, აიღეთ:

შიმშილი,

საფრთხე

და სიძულვილი."

როგორც ვნახეთ, ჩამოიშალა რომანტიკული პოეტიკის ნატიფი ესთეტიკა, დამკვიდრდა სოციალური თემატიკა, დემოკრატიული სათქმელი მოიტანა დრომ. ტრადიციულ რიტმებში ჩამწყვდეული ლექსი გათავისუფლდა მეტრული არტახებისაგან და მიიღო ვერლიბრის ფორმა. ეს მართლაც დიდი ცვლილება იყო პოეზიაში. ახალი ესთეტიკით დაწერილი ლექსები: "ჩიკაგო," "უდაბნი," "რიცხვების კაცი" გახდა ამ პოეტის სავიზიტო ბარათები. მის ლექსებს მოაქვს ირაციონალიზმი და ზეგრძნობადი რეალობა, რაღაც ისეთი, ლორკა ტერფებიდან რომ გრძნობდა და "დუენდეს" უწოდებდა.

დავაკვირდეთ ლექსს, რომელსაც ჰქვია "ბალახი":

Grass

BY CARL SANDBURG

Pile the bodies high at Austerlitz and Waterloo. /Shovel them under and let me work— / I am the grass; I cover all. /And pile them high at Gettysburg /And pile them high at Ypres and Verdun. /Shovel them under and let me work. /Two years, ten years, and passengers ask the conductor: / What place is this? / Where are we now? / I am the grass. / Let me work.

ბალახი

(მთარგმნელი ზ. გამსახურდია 1971: 41)

დაახორეთ გვამები აუსტერლიცსა და ვატერლოოში.
დამარხეთ მიწაში და მიმიშვით სამუშაოდ-
მე ვარ ბალახი; მე ვფარავ ყველაფერს.

დაახორეთ გვამები გეტისბურგში,
დაახორეთ იპრესში, ვერდენში,
დამარხეთ მიწაში და მიმიშვით სამუშაოდ.
ორი წელი, ათი წელი და მგზავრები ჰკითხავენ
გამყოლს:
"რა ჰქვია ამ ადგილს?
სად ვიმყოფებით?"

მე ვარ ბალახი.
მე ვფარავ ყველაფერს.

ბალახი

(მთარგმნელი - შ. იათაშვილი 2004 :17)

დაახვავეთ სხეულები ვატერლოოსთან, აუსტერლიცთან,
ჩაფლეთ მიწაში და მაცადეთ, რომ ვიმუშაო -
მე ბალახი ვარ; მე ამქვეყნად ყველაფერს ვფარავ.
და დაახვავეთ სხეულები გეტისბურგთანაც,
დაახვავეთ იპრთან, ვერდენთან,
ჩაფლეთ მიწაში და ნება დამრთეთ, რომ ვიმუშაო.
ორი წელი, ათი წელი, და მგზავრები დაუსვამენ კითხვას კონდუქტორს:
"სადა ვართ ახლა?
რა ადგილია?"'
მე ბალახი ვარ.
დამაცადეთ, რომ ვიმუშაო.

ლექსში ჩამოთვლილია მასშტაბური ბრძოლების ადგილები, სადაც ათასობით მსხვერპლი დაეცა. ვატერლოო ნაპოლეონ ბონაპარტის უკანასკნელი ბრძოლის ადგილია, სადაც ინგლისის, ნიდერლანდებისა და პრუსიის ალიანსი ებრძოდა ნაპოლეონის ფრანგულ არმიას; აუსტერლიცში მიმდინარეობდა ბრძოლა ნაპოლეონისა და რუსეთ-ავსტრიის ჯარებს შორის; გეტისბურგში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა; იპრი იბრძოდა გერმანიასთან პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და გერმანელებმა აქ ქიმიური იარაღი გამოიყენეს; ვერდენი ქალაქია საფრანგეთში. იგი იყო პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელებსა და ფრანგებს შორის სამხედრო ოპერაციის არენა. ბალახი ფარავს ამ ადგილებში სიავის კვალს, შლის და აქრობს ავკაცობის ნაკვალევს. წარმავლობის განცდა მოდის ამ ლექსიდან.

თუ სინქრონულად წავიკითხავთ ორიგინალსა და პირველ თარგმანს, შემდეგ- ორიგინალსა და მეორე თარგმანს, ხოლო შემდეგ - პირველ და მეორე თარგმანებს, ვნახავთ, რომ ინვარიანტულ ტექსტებს ვეცნობით. თარგმანები ლექსიკურად და სემანტიკურად თითქმის მსგავსია. მცირეოდენი სხვაობა განპირობებულია მთარგმნელთა პერსონალური სტილური თავისებურებებით. თუ ერთგან არის "დაახვავეთ," ხოლო მეორეგან- "დაახორეთ," ასევე ერთგან ვკითხულობთ "ჩაფლეთ," ხოლო მეორეგან - "დამარხეთ," ეს სინონიმური სხვაობაა, მაგრამ ფინალური ფრაზა Let me work როცა ითარგმნება ასე: "დამაცადეთ, რომ

ვიმუშაო," ვფიქრობ, ნაკლებ კრეატიულია და ვარჩევ მეორე ვარიანტს: "მე ვფარავ ყველაფერს," თუმცა, პირველი ვერსია უფრო ახლოა ტექსტთან. სამაგიეროდ, მეორე ვერსია ბევრად ახლოა ნაწარმოების იდეასთან.

ზვიად გამსახურდიას ყურადღების ცენტრში იყო ტომას სტერნზ ელიოტი, რომელსაც მიაჩნდა, რომ პოეტი ჩვენს ცივილიზაციაში სირთულით უნდა ხასიათდებოდეს და თვითონ იყო კიდევაც რთული პოეტი, ოღონდ ეს ცალკე საუბრის თემაა. არანაკლებ აინტერესებდა წერილის დასაწყისში ნახსენები უოლტ უიტმანი, სულისა და სხეულის პოეტი, რომლის "ბალახის ფოთლებს" უიტტიერი თუ ცეცხლში წვავდა, ემერსონი თაყვანისცემით ესალმებოდა... ზ. გამსახურდიამ რომ რაღაც აუხსნელი ბედისწერის კარნახით მისი "ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო" თარგმნა, თითქოს საკუთარ განწირულ ბედს შეეხმიანა ბევრად ადრე, სანამ მის თავს მსგავსი უბედურება დატრიალდებოდა.

რა შეიძლება დავასკვნათ?

ზვიად გამსახურდიას თარგმანები - ეს მართლა ამერიკის ხელახლა აღმოჩენას უდრიდა ქართველი მკითხველისათვის. გამოიკვეთა ახალი ესთეტიკა, რომელიც ადამიანის ღრმა შინასკნელს ააშკარავებდა; გამოჩნდა ჯერმიუკვლეველი სამყარო, რომელიც თითოეული ადამიანისაგან გამოსხივდება. ამერიკული სული იგუმანა მკითხველმა, იგრძნო, პიროვნულ "მე"-ში რომ მთელი სამყარო ირეკლება. ზვიად გამსახურდიამ თავისი თარგმანებით ახალი პოეტიკა გაუშინაურა ქართულ სინამდვილეს, ტრადიციულისაგან განსხვავებული.

ამ ნაშრომის ავტორს იოტისოდენადაც არა აქვს თემის ამოწურვის პრეტენზია, მაგრამ აქვს მკითხველის დაინტერესების სურვილი.

ლიტერატურა:

გამსახურდია 1971: გამსახურდია ზ. ამერიკელი პოეტები.თბილისი: გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო'', 1971;

გამსახურდია 1972: გამსახურდია ზ. XX საუკუნის ამერიკული პოეზია. თბილისი: გამომცემლობა განათლება'', 1972;

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ., წერილები, ესსეები, თბ., გამომც. "ხელოვნება", 1991 წ.

გოგოლაშვილი 2002: გოგოლაშვილი ნ., ამერიკული პოეზია, თბ., გამომც. "ლომისი," 2002 წ.

ნ. დარბაისელი, "ზვიად გამსახურდია - ამერიკული ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი," http://www.bu.org.ge/x450?lang=geo

იათაშვილი 2004: იათაშვილი შ., ამერიკელი პოეტები, თბ., გამომც. "მერანი," 2004 წ.